მანანა დარჩაშვილი *

მიხაკო წერეთელის პუბლიცისტიკა ეროვნულ საკითხზე მის ფუნდამენტურ ნაშრომამდე „ერი და კაცობრიობა“

შესავალი

მიხაკო წერეთელი XX ს. ქართული პოლტიკური აზრის ღირსეული წარმომადგენელია. ის საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამასთან, ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. მისი ნააზრევი ერის პრობლემების საკითხზე პრესაში წერილების სახით იბეჭდებოდა. ნაშრომის სახით კი: „ერი და კაცობრიობა“ პირველად 1910 წელს გამოვიდა[1].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან გაიზარდა ინტერესი მიხაკო წერეთლის სოციალ-პოლიტიკური მემკვიდრეობის მიმართ. გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო ნაშრომი და საგაზეთო წერილი. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი “ერი და კაცობრიობა”, რომელიც მიჩნეულია პირველ სოციოლოგიურ მონოგრაფიად საქართველოში[2],

ჩვენი მიზანია, 1910 წლამდე, ამ მეტად საყურადღებო ნაშრომის გამოსვლამდე, მიხაკო წერეთელის პუბლიცისტიკიდან იმ წერილების შესწავლა, რომელშიც განხილულია მისი შეხედულებები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების შესახებ. ავტორის ნააზრევი მუდმივად ერის გარშემო ტრიალებდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს, ამ ურთულეს პრობლემას ფაქტებისა და მოვლენების ღრმა წვდომით განიხილავდა. შესაბამი-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

[1] წიგნის წარწერიდან უკვე იგრძნობა მისი შეხედულებანი და დამოკიდებულება ერის საკითხთან მიმართებაში, სადაც ნათქვამია: „ძვირფასს მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც კაცობრიობის ოლომპზედ თავისი პატარა საქართველოც სცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა და მის წმინდა საკურთხეველზედ გულწრფელი მსხვერპლი შესწირა, უძღვნი ამ წიგნს.“

[2] ხელახლა გამოიცა 1990 წელს, რედაქტორი - ე.კოდუა.

სად, საინტერესოა მიხაკო წერეთლის ამ საკითხთან დაკავშირებული უფრო ადრეული პუბლიცისტური ნაწერების ისტორიზმის მეთოდით შესწავლა, რომელიც ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით: “baton”, “სანგალა”, “ალაროდიელი”, “B”.

საკვანძო სიტყვები: ერი, სახელმრიფო, სამართალი, ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შივინიზმი, კოსმოპოლიტიზმი

მ. წერეთელის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე

თანამედროვე პირობებში, როდესაც ერთა თავისუფლების, თანამშრომლობის საკითხი წარმართვს საერთაშორისო პოლიტიკას, მიხაკო წერეთლის ზოგიერთი პულიცისტური წერილის ხელახალი გააზრება ვფიქრობთ მნიშვნელოვანია, რადგან საუკუნეზე მეტი ხნის წინ მიხაკო წერეთელი თავის ნაშრომებში ყოველთვის სამართლიანობის, თანასწორობის იდეას იცავდა; როგორც თვითონ ამბობდა ეროვნული საკითხი მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო.

ერთა ურთიერთობისთვის პირველ რიგში ერის უფლებრივი აღიარება უნდა მომხდარიყო და მერე თავისუფალ ერთა თამამშრომლობა, ამის შესახებ არაერთხელ აკეთებდა განმარტებებს ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, რომ ერთა ერთობა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ერთა თანასწორობასა და ამ თანასწორობის ნიადაგზედ მათ კავშირს. თანასწორობაში მ. წერეთელი თვითოეული „სოციალური პიროვნებისათვის“ - ერის საკუთარი ღირებულების აღიარებას გულისხმობდა, რომლის უზრუნველყოფა საერთაშორისო ზნეობით და სამართლით უნდა დარეგულირებულიყო. ბუნებრივია, პირველ რიგში კი ერის უფლების, თვითოეული ერის „სპეციალურ მდგომარეობას“, უფლებრივ-ისტორიულს, ტერიტორიულს, კულტურულს და სხვას უნდოდა ყურადღების მიქცევა.

მ. წერეთელი არაერთხელ მიუთითებდა, რომ აუცილებელია როგორც პატივისცემა უცხოსადმი, ისე საკუთარი უფლების აღიარებაც „…ან იქნებ, როდესაც საკუთარ უფლებაზედ გაიგონებენ რასმეს ეს ჩვენი შეუდარებელი „ინტერნაციონალისტები”, სწორედ ეს უფლება ჰგონიათ უარყოფა ჩვენი სხვებთან ერთობისა… და, მართლაც, აკი გვაქვს “ერთობა”, აკი ისე ვართ დაახლოებულნი, რომ, ფრანგების თქმისა არ იყოს, - “ვღრიალებთ ერთად ყოფნის ტკივილითა”… სხვა რაღა გვინდა?..” [1].

მიხაკო წერეთლის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი იყო ერის უფლებრივი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ის ხშირად აკეთებდა ერის საკითხთან დაკავშირებული ცნებების მისეულ, მეტად საინტერესო განმარტებას, საყურადღებოა მისი დამოკიდებულება სამშობლოს ცნებისადმი, რომელიც ხშირად ერთან, სახელმწიფოსთან და ხალხთან იყო აღრეული, სინამდვილეში ის სამშობლოს იდეაში აერთიანებდა ერს და მის ტერიტორიას, საქართველო ამ მხრივ განსაცდელში იყო, - "მას არა აქვს განვითარებული ეკონომიური ძალები, - რიცხვით მცირეა, გარედან კი უზარმაზარი და აუარებელი, მრავალფეროვანი ძალა მოსდგომია და უქადის თავის ბინიდან აყრას. ეროვნული სიმდიდრისა, რიცხვისა და ძალის უქონლობის გამო მას ვერ გაუწევია ვერავითარი წინააღმდეგობა ასეთ გამანადგურებელ ძალისათვის"[2].

მიხაკო წერეთელი ისტორიულ ტერიტორიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სხვა ეროვნული ელემენტით რომც ყოფილიყო იგი დასახლებული, თუ, რასაკვირველია, ეროვნული ელემენტი იქ სავსებით არ იყო აღმოფხვრილი, ეს ტერიტორია კანონიერ პატრონს ეკუთვნოდა, როგორც თვითონ აღნიშნავდა - ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნების და თავისი კულტურის აყვავების, თუმცა მისი მოვალეობაა იქ ჩასახლებულთა უფლების პატივისცემა. „საქართველოს ტერიტორიიდან ჩამოჭრა ტაო-კლარჯეთისა, ლაზისტანისა, სამცხესი, ჯავახეთისა, სომხითისა იმ მიზეზით, რომ იქ ზოგან ისლამი გაბატონებულა ქართველთა შორის, ზოგან – სომხობა, ბერძნობა და თათრობა ჩამოსახლებულა, ვერ იქნება იმის არგუმენტი, რომ საქართველოს ტერიტორია ამ ჩვენ ისტორიულ საზღვრებში არ აღიარონ. აქ ჩვენი მოსახლეობა კიდევ დარჩენილა, დარჩენილა ჩვენი ისტორიული ნაშთები, ჩვენი კულტურა აქ ყვაოდა, აგერ ახლა, ახლო წარსულში, ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში ეს ნაწილები მჭიდროდ არის ჩაქსოვილი და იქ დასახლებულ უცხო ელემენტებს არავითარი პრეტენზიის წამოყენების უფლება არა აქვთ, გარდა მათ უფლებათა ჩვენ მიერ პატივისცემისა. ეს ტერიტორია ჩვენი ორი ათასის წლის საკუთრებაა, და სრული უფლება გვაქვს, იქ ხელ-ახლა ავაყვავოთ საქართველო. ჩვენ იგი გვჭირდება, და იმ მიზეზით, რომ იგი ისტორიულმა ბედმა წაგვგლიჯა დროებით, ახლო წარსულში, - ვერ დავთმობთ ამ საჭიროებასა"[3].

ერის საკითხთან დაკავშირებული ცნებების განმარტების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მ. წერეთლის სტა-

ტია “ოთხი ცნება”, რომელიც „ალაროდიელის“ ფსევდონიმით, 1909 წლის გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნდა. სტატია ეძღვნება ერის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების გარკვევისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებების განმარტებას, როგორიცაა ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი. მ. წერეთელი ამ ოთხი ცნების სწორედ გაგებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევდა პოლიტიკურად დამონებული ერებისათვის.

ნაციონალიზმი, მ. წერეთლის აზრით, პირველ რიგში ნიშნავდა მისწრაფებათა იმ სისტემას, რომელიც ეხებოდა მთელ ნაციას, მთელს ერს, განურჩევლად კლასისა და წოდებისა. სოციალიზმს, რომელიც კლასთა წინააღმდეგობას, კლასთა ბრძოლას აზვიადებდა, ნაციონალიზმი მიაჩნდა თავის მოწინააღმდეგე ცნებად. ამით სოციალიზმი უარყოფდა ერთა შორის თანასწორობას. ამიტომ, მ.წერეთელი ამ ცნებათა სწორად განსაზღვრისთვის აუცილებლად მიიჩნევდა იმის გარკვევას, თუ როგორ ესმოდათ იგი და როგორ უნდა გაეგოთ ნამდვილად, სამართლიანად, „სხვა და სხვა იდეალის და აგრევე წმინდა სოციალური სინამდვილის თვალსაზრისით“.

მიხაკო წერეთლის აზრით, ერის ცხოვრება ადამიანთა სოციალური ცხოვრებაა, რომელნიც ეკუთვნიან ერთ რასას, ან რომელშიაც ერთი რასა სჭარბობს და სხვები შეუთვისებია ან გარდაუქმნია თავის მსგავსად, საერთო ენა, შეიძლება რელიგია და პოლიტიკა, ზნე-ჩვეულება, თვითშეგნება, რომელიც განვითარებულია ხანგრძლივი და რთული საერთო მოწესრიგებული მოქმედებით[4]. ასე ესახებოდა მ. წერეთელს ერი, ნაცია და აქედან გამომდინარე ნაციონალიზმი, რომელიც არის მთელი სისტემა და გამოხატულება იმ მისწრაფებებისა, რომელიც ერს აქვს. ასეთი ნაციონალიზმი იცავდა ერის ინტერესებს სხვა“ ეროვნულ ორგანიზმთა აგრესიისაგან“. მაშასადამე, მ. წერეთელის დასკვნით, ნაციონალისტი ყველა ყოფილა, – სოციალისტიც და არა სოციალისტიც, ანარქისტიც და ბურჟუაც, ყველა პატიოსანი მოღვაწე, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი მსოფლმხედველობა, რადგან ადამიანი თავისი ეროვნულობით შედისს კაცობრიობაში არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ მხოლოდ გარკვეული ერის საშუალებითო.

მ. წერეთელი, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, განიხილავდა შემთხვევას, როდესაც, რომელიმე ერის შინაგან ცხოვრებაში ორი სხვადასხვა სახელწოდების პარტია ვერ თანხმდებოდა „ერის შინაგანი მოწყობის“ საკითხებზე. სოციალისტს თავისი იდეალი ჰქონდა,

ნაციონალისტს თავისი, მაგრამ ორივეს იდეალი შეეხებოდა ერთსა და იგივე ერს, რომელსაც არც ერთი არ უარყოფდა.

სწორედ ამიტომ მ. წერეთელი ამის ახსნას აკეთებდა - დაჩაგრული ერი იბრძვის სხვისი უსამართლო ნაციონალიზმის წინააღმდეგ, სურს აღადგინოს თავის საზოგადოებრიობის დათრგუნვილი ორგანოები, სურს დადგეს ერად სხვა ერთა შორის, რომ მისი ნაციონალიზმი სწორედ საერთო ნაციონალიზმი იყო, ნამდვილი და სამართლიანი, იგი სწორედ ერთა შორის თანასწორობის პრინციპით იყო გამართლებული და ყველა პატიოსანი სოციალისტისა თუ ანარქისტისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

მ. წერეთლისეული ნაციონალიზმი, ზემოხსენებულის მიხედვით, არის მისწრაფება ერისა თავისი ინდივიდუალობის, კონკრეტული სოციალური ორგანიზმის დაცვისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის რა იდეალი ჰქონდა ამ კონკრეტულ ორგანიზმში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

მ. წერეთლის მიერ ნაციონალიზმის ცნების ასეთ გაგებას და ინტერპრეტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მარქსისტულმა იდეოლოგიამ, რომელიც ჩვენში დიდხანს განუყოფლად ბატონობდა, მისი შინაარსი ძირეულად შეცვალა და ფაქტობრივად შოვინიზმის ცნებამდე დაიყვანა.

მ. წერეთელი ნაციონალიზმთან ერთად სიტყვა ინტერნაციონალიზმსაც უკავშირებდა ნაციას და ხსნიდა, როგორც ერთა შორის ერთგვარ ურთიერთობას[5]. კერძოდ, რომ ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი ცნებათა ერთი სერიაა, რომელნიც შეეხებიან ერებსა და მათ კავშირს. ნაციონალიზმი არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს, პირიქით, უნაციონალიზმოდ არ იქნებოდა ინტერნაციონალიზმი, რადგან პირველი მეორის შემადგენელი ელემენტია.

მ.წერეთელი შენიშნავდა, რომ სოციალიზმი არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთს და არც მეორეს. იგი სამართლიან დასკვნას აკეთებდა: „რომ, მსგავსად იმისა, როგორც ნაციონალისტის სახელი თავისთავად არ არის სამარცხვინო და საგინებელი, თუ იგი განსაზღვრული იქნება თავის ნამდვილი შინაარსის მიხედვით, სოციალისტისათვისაც და ინტერნაციონალისტისთვისაც არ არის სამარცხვინო ნაციონალისტის სახელის ტარება, აღიარება წმინდა ეროვნულ ინტერესთა და ბრძოლა მათ დასაცავად. მითუმეტეს, რომ თეორიულად იგი მართალი იქნება, პრაქტიკულად კი, ცხადია, – ერთა მუდმივი ბრძოლაა საკუთარ საზო-

გადოებათა სიკვდილისაგან ხსნისათვის. გარდა ამისა მომავალშიაც ხომ თავისუფალი ერი აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს "ინტერნაციონალისა". ის მკაცრად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს ეროვნული ნიჰილიზმის გამო და აღნიშნავდა, რომ "თანამედროვე პირობებში „არანაციონალისტობა" სამშობლოსადმი ღალატის ტოლფასიაო. [6].

ამავე დროს მ. წერეთელი ვერ ეგუებოდა და აკრიტიკებდას გადაჭარბებულ ეროვნულ ეგოიზმს, თავისი ერის ყველა სხვა ერზე უფრო მაღლა დაყენებას, თავისი ერის არსებობის აღიარებას ერთადერთ კანონიერად და სამართლიანად და სხვათა უფლების ფეხქვეშ გათელვას, თავისი ერის საზღვართა გაფართოვებას, სხვათა დაპყრობას და ექსპლოატაციას, თავისი "სჯულის" სხვებზე მაღლა დაყენებას და სხვათა უპატივცემლობას, თავისი ენის გაბატონებისა და სხვათა ენის წართმევის სურვილს და ყოველივე სხვა მსგავს მოვლენებს ერთა ცხოვრებაში, რაც საფუძველი იყო შოვინიზმისა. მას შოვინიზმი მიაჩნდა საერთაშორისო სამართლის უარყოფად, რომელიც ჯერ არ იყო განხორციელებული და რომლის განხორციელებაც მაშინ იდეალად ითვლებოდა.

მ. წერეთელი აკრიტიკებდა და შოვინისტურ მიმდინარეობად მოიხსენიებდა ყველა იმ პარტიას, რომლებიც უარყოფდნენ საქართველოს ავტონომიას და ამით ხელს უშლიდნენ ქართველი ერის სამართლიანი უფლების განხორციელებას. ავტორი მიუთითებდა, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლებს, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ საქართველოს ავტონომიას, ან თავისთვის უნდოდათ ეს ტერიტორია, რათა თავისი ეროვნული უფლება შეექმნათ, ან მათთვის არ იყო ხელსაყრელი ქართველთა ეროვნული უფლების განხორციელება.

მ. წერეთელი, განიხილავდა ცნება კოსმოპოლიტიზმს, აღნიშნავდა, რომ ის არ იყო სწორი და მკაფიო ტერმინი, რომ ის ნიშნავდა მთელი მსოფლიოს მოქალაქეობას, რაც აბსურდია, რადგან მოქალაქეობა ნიშნავს სოციალურ კავშირს ერთი გარკვეული საზოგადოების წევრთა შორისო. აქვე ავტორი მსჯელობდა იმ განსხვავებათა შესახებ, რომელიც რატომღაც არსებულ სინამდვილეში აერთიანებდა ძალიან ხშირად კოსმოპოლიტიზმს ინტერნაციონალიზმთან. ინტერნაციონალიზმი, როგორც ზემოთ ვთქვით, მიჩნეული იყო ერთა შორის თავისუფალ კავშირად, კოსმოპოლიტიზმი კი აღიარებდა საკაცობრიო საზოგადოების არსებობას, რაც ეწინააღმდეგებოდა ინტერნაციონალიზმის ცნებას.

მ. წერეთელი, განსაზღვრავდა რა ზემოთ განხილულ ოთხ ცნებას (ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი, კოსმოპოლიტიზმი), აკეთებდა დასკვნას, რომელშიც ჩანს მთელი მისი პოლიტიკური კრედო: ნაციონალიზმი – ერის სიცოცხლისა და უფლების დაცვაა, და ჩვენც ნაციონალისტები ვართ. ინტერნაციონალიზმი – თავისუფალ და სწორუფლებიან ერთა კავშირია, საერთაშორისო სამართალი აღიარებაა ერთა უფლებისა და ჩვენც ინტერნაციონალისტები ვართ. შოვინიზმი კი უარყოფაა საერთაშორისო სამართლისა, ეროვნული ბოროტი ეგოიზმია და ამიტომაც გვეზიზღება ყველა შოვინისტი. „თავის დაცვა ერისა და სხვებთან აწმყო და მომავალი კავშირი, და არა თვითმკვლელობა აწ არარსებულ და მომავალ პრობლემატიკურ კაცობრიობისათვის, შეუძლებელ კოსმოპოლიტიზმისათვის," - აი კიდევ და კიდევ ჩვენი ცნება. ამიტომაც ჩვენ გვინდა სოციალიზმი შიგნით, საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზმის განახლებისათვის, და ინტერნაციონალიზმი გარეთ, ერთა ურთიერთ დახმარებისათვის და ძმობისათვის. შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი კი ორივე წინააღმდეგი ცნებაა ერთა სიცოცხლისა და უფლებისა და ამიტომაც ჩვენც და ჩვენი სოციალიზმიც მათ გავურბივართ[7] - ამბობდა მ. წერეთელი.

იგი თანმიმდევრულად იბრძოდა ეროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ თავისი თეორიული დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

უსაზღვრო იყო მისი წუხილი იმის გამო, რომ ძირძველ ქართულ მიწაზე ქართული კულტურა და ეროვნება სრულიად მივიწყების გზას ადგა. „საცოდავ მდგომარეობაშია ამ მხრით განსაკუთრებით შავშეთი, ერუშეთი, ჯავახეთი, კლარჯეთი და სამხრეთ-დასავლეთის სხვა მხარეები ძველის საქართველოსა"[9].

მნიშვნელოვანია, რომ მ. წერეთელი აღნიშნავდა საქართველოს უმეტესი ნაწილის რუსეთის საზღვრებში გაერთიანების მცირე, მაგრამ მაინც პოზიტიური მხარის შესახებ, თუმცა სინანულით დასძენდა, რომ „რუსეთის კანონმა ერთის ძაფით, თუმცა ჩვენთვის სრულიად უცხოთი მაგრამ მაინც შეაერთა საქართველოს ნაწილები. გაიარა კიდეც დრომ და ჩვენ ოდნავ მაინც დავუახლოვდით ერთმანეთსა, გავიგეთ ერთმანეთის ავკარგი, უფრო ნათლად გავიგეთ ამბავი ძმათა დაკარგვისა და აგრეთვე მრავალ გადასახლებულთა ვინაობა, გადასახლების დრო და ადგილი"[9].

თავისი ეროვნული უფლების დამცველი და ამასთან მისი ბედით შეწუხებული მ. წერეთელი დეტალურად აღწერდა იმ ძნელ-ბედობის ჟამს, როდესაც საქართველოში ადგილობრივთა საკუთარი მიწიდან აყრა ხდებოდა და უცხო ელემენტის ჩასახლება, რომელიც შემდეგ უკვე ახალ ბატონად მოევლინებოდა ხოლმე არსებულ სინამ-დვილეს.

მ. წერეთელი შეწუხებული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოს დემოგრაფიულ რუკაზე ქართველი ერის აღმნიშვნელი ფერის შემცირება და სხვა ერთა აღმნიშვნელი ფერებით „შეჭრელება“ მეცხ-რამეტე საუკუნეშიც გრძელდებოდა და მის დროსაც.

არსებული მდგომარეობით შეშფოთებული, რომელმაც მშვენივ-რად იცოდა თავის ერის, როგორც „ნამდვილი კულტურული ერის“ წარსული, რითაც „მიგვაჩნია თავი თითქმის ერთადერთ ცოცხალ ერად, ცოცხალის ენითა და კულტურითა“, მძიმე მდგომარეობაში იყო. მას ამ მდგომარეობიდან თავისი ქვეყნის ერთადერთ გამოსავლად, ერთადერთ ხსნად „საკაცობრიო საერთაშორისო სამართალი“ მიაჩნდა.

ქართველი ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მსჯელობი-სას მ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართული ცნობიერება არასდროს არ შერიგებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, იგი გამუდმებით იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს დამო-უკიდებლობის აღსადგენად.

თავის ქვეყანაზე და ერზე შეყვარებული პუბლიცისტი დიდი პა-ტივისმცემელი იყო ყველა სხვა ერისა, რომლებიც საქართველოს ტერი-ტორიაზე ცხოვრობდნენ. ის, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების მოსაწესრიგებლად სწორედ საერთაშორისო სამართალს მიიჩნევდა. მი-სი აზრით, საერთაშორისო სამართალს უნდა დაეცვა საქართველოს ტე-რიტორიაზე ქართველი ერის უფლებებსაც, „თუ ზოგირეთ ქალაქში და ორ მაზრაში უმეტესობას სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული უცხოელ-ები შეადგენდნენ, მაგრამ – წერს მიხაკო წერეთელი, – ეს არც ამ უცხო-ელთა და არც არავის არავითარ უფლებას არ აძლევს წაგვართვან ტერი-ტორიული დამოუკიდებლობის უფლება. ნუ დაივიწყებს ნურავინ, რომ ეს ნაწილი ტერიტორიისა ათასი წლობით ჩვენი საკუთრება იყო, ზედ ქართული კულტურა ჰყვაოდა, სისხლით ვიცავდით მტრისაგან და დღესაც სრულიად არ გამქრალა იქ ქართველობა. დღესაც იგი ნაწილია საქართველოსი და თუ უცხო ვინმეა იქ, იგი ჩვენს სახლშია დამკვიდ-რებული და უფლებაც აქვს დარჩეს სწორუფლებიან მოქალაქედ… მაგ-

რამ ჩვენც გვაქვს უფლება ჩვენი ერონული საკუთრება დავიცვათ უსამართლო სტუმართაგან. ყოველ შემთხვევაში, თუ არ მოეწონებათ ჩვენი სტუმრობა და ჩვენი მასპინძლობა, სრული უფლება აქვთ თავიანთ სამშობლოში მიბრძანდნენ"[4].

მ. წერეთლი განსაკუთრებულ ყურადღებას და დამოკიდებულებას იჩენდა მსოფლიოში მიმდინარე ერთაშორისი ურთიერთობების ამსახეველი საკითხებისადმი, მითუმეტეს თუ ეს ქართულ სინამდვილეს ეხებოდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მ. წერეთელის ნააზრევი აქტუალობას დღესაც არ კარგავს, ამის დასტურია ის, რომ იუნესკო 1956 წლიდან წევრ ქვეყნებში აღნიშნავს ღირშესანიშნავი ისტორიული მოვლენებისა და გამოჩენილი პირების იუბილეებს, რაც თავის მხრივ ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს. გასულ 2019 წელს, ასეთ მნიშვნელოვან მოვლენად მიჩნეული იყო და აღინიშნა „მარჯორი სკოტ უორდროპის დაბადების 150 წლისთავი"[11]. საინტერესოა, რომ ზუსტად 111 წლის წინ ქართული პოლიტიკური აზრის ღირსეული წარმომადგენელი მიხაკო წერეთელი თავის საჟურნალო სტატიაში გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული კულტურის დიდი ქომაგის მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შესახებ, ეს ინფორმაცია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მ. წერეთლისთვის საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანია, მითუმეტეს როდესაც საკითხი ქართული კულტურით დაინტერესებას და უცხოეთში პოპულირაზიციას და ერთაშორისი ურთიერთობების პატივისცემას ეხებოდა[3].

დასკვნა

მ. წერეთლის წარმოდგენილი ნაშრომების განხილვისას დავინახეთ, რომ მისთვის ნაციონალური საკითხი უზენაესია, მისი დაცვის საჭიროება ყველა ერისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ამასთან, მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებლობაა.

მისი ეროვნული და ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხისადმი დამოკიდებულება შემდგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: პირველ რიგში აუცილებლობად მიიჩნევდა ერის უფლებათა

[3] მ. წერეთელმა მ. უორდროპისადმი მიძღვნილი წერილი ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" 1909 წელს ფსევდონიმით B. გამოაქვეყნა, რომელიც ფაქტობრივად ჩვენამდე ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა.

დაცვას. სწორედ ერი და არა სახელმწიფო უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა, მაშინ მოხდებოდა თვითგამორკვევისათვის მებრძოლ ერთა ინტერესების დაცვა, ერთა თანასწორობის რეალური განხორციელება; მუდმივად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს ერთა თვითგამორკვევის უფლების ნებსით თუ უნებლიეთ ხელსს შეშლის გამო.

მ. წერეთელისეული ოთხი ცნების განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ ის არის დიდი პატრიოტი, კაცთმოყვარე და მოსურნე ყველა ერისა და ხალხის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისა, არის მებრძოლი ბოროტების, მჩაგვრელობის წინააღმდეგ. მ. წერეთელი თანაუგრძნობდა ყველა საერთაშორისო სამშვიდობო ღონისძიებას.

საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლა, მთელი ერის ერთად დგომით და ეროვნული მუხტის გაძლიერებით, ასევე სხვადასხვა ერების მხრიდან ერთა უფლებების აღიარებით და ერებს შორის ურთიერთპატივისცემით, საერთაშორისო სამართლის ხელშეწყობით ესახებოდა.

ბიბლიოგრაფია:

1. ჟურნ., "ერი", 19010წ. , #12.
2. გაზ., „ამირანი",1908წ., #6.
3. გაზ., „დროება", 1909წ., 190.
4. ჟურნ., „საქართველოს მოამბე", 1909წ., #4.
5. გაზ., „დროება", 1909წ., #167.
6. გაზ., „დროება", 1909წ., # 168.
7. გაზ., „დროება", 1909წ., # 169.
8. ჟურნ., "საქართველოს მოამბე", 1909წ. #7.
9. გაზ., „დროება", 1909წ., #125
10. ჟურნ., „საქართველოს მოამბე", 1909წ., #5.
11. „მარჯორი სკოტ უორდროპის დაბადების 150 წლისთავი" (2019), https://unesco.ge/?p=2425#more-2425 ნანახია 10.01.2010

Manana Darchashvili

Publications of Mikhako Tsereteli on the National Issue before his Fundamental Paper "Nation and Humanity"

Summary

M. Tsereteli was the active political figure in the beginning of the 20th century. He was defending the idea of justice and equality with his activity, at the same time he was considering, that anarchism was the way to reach socialism.

In the given work it is described the position of M. Tsereteli about the questions of international relations; in concrete, he assumed, that defending nation's rights was the first-place necessity as exactly the nation and not a state would be the subject of discussion of international law. And exactly the nation would defend nations' interests through the struggling for self-determination, and thus, nations' equality would be reached in reality.

The work contains the articles of M. Tsereteli from newspapers. Until today these articles were beyond the attention of science society. In 1909, in the newspaper ,,Droeba" M. Tsereteli published the Series of articles united under the common name ,,Four Notions," that reflects the main notions of nationalism, such as ,,Nationalism," ,,Internationalism," ,,Chauvinism" and ,,Cosmopolitism".